

ლიტერატურული განები

№20 (348) 27 ოქტომბერი - 9 ნოემბერი 2023

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ზომიერება

თუ ცოტა მეტად გავიცინებ,
ამოღებული კბილები მიჩანს.
ამიტომაც ალარ ვიცინი,
ვიდრე ამ ჩემს
ესთეტიკურ უხერხულობას
რამე ხელოვნურს შევაშველებ
გადასაფარად,
ჩასაფრებული
უცხო თვალისოვის...

თუ ცოტა მეტად მიხარია,
აქვე, ჩემს შიგნით,
ვიღაც კაცი მესისინება,
რომ არ შემრჩება,
არ გამყვება ეს სიხარული...

ღიმილიც ერთი წამისაა,
სიხარული, ალბათ,
კიდევ უფრო ნაკლების.

...
მე კი მთელი ამ წარმავლობის მიუხედავად,
ვერასოდეს ვერ ვისწავლე ზომიერება:

თუ ვიცინი,
მუდამ მთელი გულით
ვიცინი,
თუ მიხარია, — მთელი გულით...
და სიხარული
ბრნებინავს,
როგორც ნაკლული კბილი...

სახალისო გამოცანა

აბლი, ბაბლი,
ოქროს ტახტი
მზით ავიღე,
მთვარით დავდგი.
გამოცანა არ მერგება,
ალარც სიხალასე ზღაპრის.
თუ ამ ყინვას გადავურჩი,
კიდევ ვნახავ ალბათ აპრილს.

თუმცა, რა ჩემ ფეხებს ვნახავ?
ვერ მივყვები დიდთა კაპრიზს,
ვერ ვისწავლე მოხმარება
ვაზელინის, თუნდაც საპნის.
ვერ ვაამე სოფლის უფროსს,
ვერ ალვუძარ გრძნობა მძაფრი,
მე თავს ასე ვერ გავიტან,
ვერც სარწყუნისს და ვერც აპნისს,
ფითირამბითა შესხმის ნაცვლად,
დავმჯდარვარ და ლექსებს ვჩხაპნი.

იმის რძეა თუ ქათქათა ნისლი?
იქნებ მზის დედა გვაბერტყავს საბნებს...
აპრილს ნინ უდევს ნისლების თასი
და შესახვრებად ცოცობას აპნევს.
და მზის სხივი თუ ველარ დამჭრიდა,
ვერ ვიფიქრებდი ამას სრულიად.
გულში თუ არა, იყოს ფანჯრიდან, —
თუკი უშენო გაზაფხულია.

ის ყვავილები ამოსულა,
შენ რომ დათესე.
ამასობაში მე უარმყავი.
მოწყენილია
შარშანდელი ფოთოლი ხეზე,
სადა ხარ,
ნეტავ —
რა ვუთხრა
ყვავილს?

ახალგაშლილმა
ჯერ ლალატის სუსსი არ იცის...
არც განშორებას მოუთუთქავს
ნაზი და თოთო.
თოთის და
თებერვლის სიცივეში,
ვით სიზმარი ცის,
ულიმის ხეზე შემორჩენილ
შარშანდელ ფოთოლს.

დავით ქართველიშვილი

შორი ძმა

ფრაგმენტი
მომავალი მაკრო მოთხოვიდან

რაც გავლილია, კივის, კივის.
რაც თვალწინაა, გადის, გადის.
ნიკა ჯორჯანელი

მოულოდნელი ცნობა

ახალგალვიძებული ავტორი

ახალგალვიძებული ავტორი საწოლზე წამოვდა
და ბურანში გაიიქრა:

„თუ დავუშვებთ, რომ სამყარო და ადამიანები
მართლაც სამივე დროში პარალელურად არსე-
ბობენ, მაშინ მზე, რომელიც 500 მილიონი ნლის
შემდეგ უნდა აფეთქდეს, სადღაც უკვე აფეთქდა.“

ავტორმა საწოლიდან ფეხები გადმოყო და ია-
ტაკზე დააწყო.

იატაკი იმდანაც ცივი იყო, მაგრამ ამ კონკრეტულ
და საგრძნობ ტემპერატურულ ცვალებადობას ავ-
ტორისათვის ხელი არ შეუშლია ისედაც საკმაოდ
განზოგადებული ფიქრის კიდევ უფრო განსავრ-
ცობად.

„თუ უკან არ დავიხევ და ამ, ერთმნიშვნელოვნ-
ად არაფრისმომცემი, მიმართულებით სვლას გან-
ვაგრძობ, მაშინ სადღაც უკვე აპოკალიფსიც მომხ-
დარია, მაღალი ალბათობით ეკოლოგიური კატას-
ტროფის ან იქნებ ვცდები და სხვა, უფრო მეტად
მეტაფიზიკური სახითაც კი. მე ხომ, ბუნებრივია,
უკვე ძალიან დიდი ხნის მკვდარი ვარ და ჩემი საუ-
კეთესო ტექსტი უკვე დაწერილიცაა, განხილულიც
და დავიწყებულიც. ნეტავ, რა ხანგრძლივობისაა
მომავალი?“

რა თქმა უნდა, დასმულ შეკითხვაზე ავტორს
არა თუ ზუსტი, არამედ მიახლოებული პასუხიც
კი არ გააჩნდა. მხოლოდ ვარაუდები, ისიც ძირითა-
დად ინტუიციური და განწყობასთან ერთად ცვა-
ლებადი.

საწოლსმოცილებული და უკვე წელშიგამართუ-
ლი ავტორი ფეხშიშველი დაიძრა სააბაზანოსაკენ.
გზაზე საკუთარი თავი — უკვე მერამდენედ — და-
ტუქსა: „შენი ასაკის მამაკაცს ფეხშიშველი წანა-
ლი ალარ შეეფერება, უბრალოდ მავნე და საზია-
ნოა. „და ამ დიდაქტიკური შინაარსის მატარებელი
დატუქსვის შემდეგ მან საკუთარი თავის წინაშე
კიდევ ერთხელ დადო პირბა, რომ ამ ძალზე, მა-
ღალი ალბათობით ფატალურადაც კი, მავნე ჩვევ-
ას დაუნდობელ და უკომპრომისო ბრძოლას გამო-
უწხადებდა და სულ მალე მას ძლევამოსილად და,
რაც მთავარია, სამუდამოდ დაამარცხებდა.

სააბაზანოს შესასვლელთან შეჩერდა, კუთხეში
აკურატულად მინყობილ სანდლებში ფეხები გაყო
— და უკვე ფეხშემოსილი — სააბაზანოში შევიდა.
შესვლამდე გაიფიქრა, უფრო სწორად კი, დაინტე-
რესდა:

„ნეტავ, როგორია ჩემი საუკეთესო ტექსტი? ნე-
ტავ, რა დავწერე? იქნებ საერთოდ ვერაფერი?“

სკეპტიკიზმი ავტორისათვის შედონიზმის ერთ-
ერთი ნაირსახეობა იყო.

XII-XIII



კეითზ პოისი და
ირლანდია

1941 წლის 13 იანვარს, როცა ჯეიმზ
ჯონისი ციურისის საავადმყოფოში გარდა-
იცვალა, შვეიცარიაში ორი ირლანდიული
დიპლომატი იმყოფებოდა. ჯონისი ფლუნ-
ტერნისი სასაფლაოზე დაკრძალეს ციური-
სის ზოოპარკთან ახლოს. დაკრძალვას
არც ერთი დიპლომატი არ დასწრებია. მო-
გვანებით მწერლის მეუღლეებ ნორა ბარ-
ნაკლმა ირლანდიის ხელისუფლებას ნეშტ-
ის გადასვენება სთხოვა, რაზეც უარი მი-
იღო. 1982 წელს, როცა მსოფლიომ მწერლ-
ის დაბადების 100 წლისთავი აღნიშნა, კე-
ლავ მოისურვეს ჯონისი დუბლინში გადაეს-
ვენებინათ, მაგრამ ეს აზრი ქლიერ წინააღ-
მდეგობას წააწყდა. ამასთანავე, გამოითქ-
ვა არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება, „რომ
ჯონისის ნებაყოფლობითი ემიგრაცია მისის
ბიოგრაფიის განუყოფელი ორგანული ნან-
ილი თუ ნიშანი გახდა და მასში ხელოვნუ-
რად, გარედან „კორექტივის შეტანა“ გამ-
ართლებული არ იქნებოდა“ (ნიკ ყიასაშ-
ვილი, „ულისეს“ წინასიტყვავობა). ასე რომ,
ჯონისი, რომელმაც 1912 წელს დატოვა ორ-
ლანდია და იქ სიცოცხლის ბოლომდე, 1941
წლამდე აღარ ჩასულა, მშობლიურმა მი-
ნამ არ მიიღო. ბუნებრივია, ისმის კითხვა,
რამ განაპირობა დიპლომატთა და ხელის-
უფალთა გულგრილობა, ან რამ გამოიწვია
მათი გულისწყობა, ნუთუ ისინი ჯონის
ირლანდიელად არ მიიჩნევდნენ? ან რა იყო
მისი ირლანდიაში ჩაუსვლელობის მიზეზი,
განსაკუთრებით კი 1922 წლის შემდეგ, რო-
ცა ქვეყანამ ხანგრძლივი ბრძოლით ნან-
ატრი თავისიუფლება მოიპოვა? ნუთუ მწ-
ერალს ესარ უხაროდა? ამ და მსგავს კითხ-
ვებზე პასუხი ისევ ჯონისი შემოქმედებაში
უნდა ვეძებოთ.

ჯერმზ ჯოისს შემთხვევით არ შეურჩე-
ვია თავისი ყველაზე ავტობიოგრაფიული
გმირისთვის სახელად სტივენი, გვარად კი
— დედალოს. სტივენი ჩვენ სტეფანე პირ-
ველმონაშეს გვაგონებს, დედალოსი კი მიკა-
ენში ცნობილი ლაბირინთის შემქმნელს.
სტივენი, ისევე როგორც მწერალი, ცხოვ-
რების პირველ მონაცემთში ღვთისნიერი
კათოლიკე ქრისტიანის ცხოვრებით ცხოვ-
რობდა. პატარა ჯეიმზი ოჯახმა დუბლინ-
ის კლონგოუზ-უუდის იეზუიტურ სკოლაში
შეიყვანა. შემდეგ ცოტა ხნით „ქრისტიანი
ძმების“ სასწავლებლში, საიდანაც მამა
კონმის რეკომენდაცით ბეჭდვედრის იეზუ-
იტურ კოლეჯში მოხვდა. აქ ჯოის ერთ-
ერთი საუკეთესო იყო და, შესაძლოა, ბრწყ-
ინვალე სასულიერო კარიერაც ელოდა,
მაგრამ ის ამ გზას არ გაჰყოლია. აქედან
იწყება მისი დედალოსობაც, ჯოისის ცხოვ-
რებასა და შემოქმედებაში შემოდიან წარ-
მართულ მოტივები.

მწერალს ზედმინევნით კარგად აქვს
აღნერილი თავისი სულიერი მდგომარეო-
ბა 1916 წელს ნიუ-იორქში გამოცემულ ავტ
ტოპიოგრაფიულ რომანში, „ხელოვანის
პორტრეტი ახალგაზრდობისას“, თუმცა
მოთხოვძების კრებულში „დუბლინელე-
ბი“, რომელიც რომანზე ორი წლით ადრე
ლონდონში გამოიცა, უკვე იგრძნიობა, თუ
როგორი უნდა ყოფილიყო მწერლის იდეა-
ლი, რა შეუფერებელ სივრცედ მიაჩნდა
ირლანდია, და რა მიმზიდველად ლონდო-
ნი და პარიზი — დიდი ქვეყნების დედაქა-
ლაქები. „დუბლინელების“ ერთ-ერთი მო-
თხოვბის „შეხვედრის“ პატარა გმირს,
სკოლაში „იაფფასიანი სათავგადასავლო“
რომანების კითხვას რომ უშლიან, დამაბ-
ცირებლად და მოსაპეზრებლად ერგვენება
ირლანდიაში ცხოვრება, მას სჯერა, „რომ
ნამდვილ ხიფათს ვერ გადაეყრება ის, ვინც
დღენიადაგ შინ ზის ფეხმოუცვლელად. ხი-
ფათი მხოლოდ სამშობლოდან შორს უნდა
ეძიო“ აი, ასე უცნაურად მსჯელობს ამ მო-
თხოვბის პერსონაჟი.

თემურ გაბუნია

ნიკო ირლანდიალის სიახაყ

ცნობილია, რომ ჯეომზ ჯონის მეგობრებთან საუბარში აღნიშნავდა, „ულისე“ ესაა წიგნი ორი ერის შესახებ — ირლანდიელებისა და ებრაელებისო. ისიც ფატია, რომ რომანის პირველი მკითხველები მენერლის სამშობლოში სწორედ ებრაელები იყვნენ. ერთხელ სემუელ ბეეცს საგანგებოდ ჩამოათვლევინა იმ ნაცონათა გვარები, ვისაც დებლინში რომანი ნაეკითხა. მათ შორის ირლანდიელი არავინ იყო. მაინც რატომ მოსწონდათ სემიტებს ასე „ულისე“ და რად უგულებელყოფნები მას თავდა-პირველად ირლანდიელები? რა იყო ამ პარადოქსის უმთავრესი მიზეზი?



దరొండాశి రిారంత్వాస సటబోవ్వెగ్లు, „ట్కేవ్స్ గాజ్విస్ జ్యోల్లెబా, ట్కేవ్స్ గథిత వారంత. మెచ్ బ్రెడా మంమేప్రిట, రీమి గథిత విారం“.. „షేం సాయారంతా నఱ ఒర్లాండింగ్ కార్?“ — ఉజ్జ్విర్స్ డావ్సిన్స్ సభిజ్వెన్సిల్ మేగ్రండార్స్. మిసి ఆశ్రిత, సభిజ్వెన్స్ ప్యువ్వెలాఫ్యేర్షన్ గాంచ్చో డగ్రమాస అమ్మాండిన్స్ బెస్స్, „శేం డాబాండ్రెబిత కార ఆశ్రిత, ప్యువ్వెలాఫ్యేర్స్ డాసచ్చిన్, సభిజ్వి.“ ట్యుమ్ప్రా డావ్సిన్ బొల్లమిండ్ మార్టాల్చి అర ఓప్ప, సభిజ్వెన్సి అర డాసచ్చిన్స్ బెస్స్ తాగ్విస తాగ్విస. రోగమర్చ నీతార రీబ్యేస్ డ్యూక్ నీతారి: మాస పారండ్రిదా, „రో గ్రేట్రెబా ప్యువ్వెలాసా డా ప్యువ్వెలాఫ్యేర్సిస్టోవిస, తాగ్విసిటోవిస — అరా“ („సామశ్చింధిల్చ జ్యేమిథ జ్యోలిసిసా“).

დიახ, ჯიოსი აშარუებდა ყველასა და
ყველაფერს, ღმერთს, ეკლესიას, ზიარებ
ისა და აღსარების საიდუმლოებს, ირლან-
დიურ ენას, ირლანდიელ პატრიოტებს, თა-
ვის სამშობლოსაც კი, რომელსაც დედალ
ორს ადარებდა, მაგრამ მწერალი არ დასც-
ინოდა საკუთარ თავს, რადგან, ეტყობა
თავი ყველასა და ყველაფერზე მაღლა მდ-
გომად მიაჩნდა. დავინი სწორ დიაგნოზის
სვამს, როცა სტივენის განდგომილები
უმთავრეს მიზეზად სიამაყე მიაჩნია „შეე-
ცადე, ერთ-ერთი ჩვენთაგანი იყო, — თქვე-
დავინმა, — გულში ირლანდიელი ხარ, მაგ
რამ შენი სიამაყე ვერ დაგიძლევია.“

სტივენი ძართლაც ამაყია, მას ხიხაპი
რები იმის ღირსადაც კი არ მიაჩნია, რომ
მათი დაწყებული საქმე განაგრძოს, მათი
შეცდომები გამოასხოროს. ისინი ხომ „გა-
ნუდგნებ თავის ენას და სხვა ენა მიიღეს
მან კი რატომ უნდა ზღოს მათი ვალები
თანაც „საკუთარი სიცოცხლით?“ რისთვის
უნდა იძრძოლოს იმ ორლანდის გათავის
სუფლებისთვის, ბებერი ღორივით „საკუ-
თარ გოჭებს რომ თქვლეფს“.

„თუ სომართლე გინდათ... მე ჭირივით
შემძლდა ჩემი მშობლიური ქვეყანა“, —
ამბობს „დუბლინელების“ ერთ-ერთი პერ-
სონაჟი გებრიელი, როცა მის აივორსი სთ-
ავაზობს, უკეთ გაიცნოს საკუთარი სამშო-
ბლო, ხალხი, არინის კუნძულებზე წავიდე-
დასასკვიტბლად, შეისწავლოს მშობლიური

ენა... სტივენს სამშობლო ეპატარავება
ისევე როგორც „დუბლინელების“ ერთ
ერთი მოთხოვნის, „პატარა ღრუბელის
გმირს — ჩანდლერს, რომელიც გრძნობს
რომ დუბლინში კარიერას ვერ აიწყობს
„თუ გინდა, რამეს მიაღწიო, აქედან უზდ
გადაიკარგო, დუბლინში ვერაფერს გახდ
ები“. ამ ქალაქში თვით სახლებიც კი „ნაპი
რზე შეყრილ მანანწალების ბრძოს“ ჰგავს
ისინი მათსავით „ჩამოძონბილები, მტვრი
თა და ჭვარტლით დაფარულები არიან“
სამაგიეროდ სულ სხვა ლონდონი ან თუნ
დაც პარიზი.

„ლონდონში წადი, ან პარიზში, უმჯობესია, პარიზში, შენთვის ძალიან სასარგებლოვანი იქნება“, — ურჩევს პატარა ჩანდლერის მისი მეგობარი იგნაციოს გალაპერი რომელმაც უკვე მიატოვა ირლანდია და ცნობილი ურჩალისტი გახდა ლონდონში. პატარა ჩანდლერი, რომლისთვისაც სახელი „პატარა“, ეტყობა, საგანგებოდ შეურჩევიათ, რადგან ვიღრე ირლანდიაში ის მუდამ პატარად დარჩება, მწვავედ გრძელი ნობს „განსხვავებას თავისსა და გალაპერის ცხოვრებას შეირის და ეს ყველაფერი უსამართლობად“ მიაჩინა. ის ხომ მასზე ნიჭიერია, „გალაპერი წარმოშობითაც და განათლებითაც მასზე“ დაბლა დგას. ჩანდლერი რსაც როგორ მისცემოდა მისნაირი შანსი „გაცილებით უკეთესი რამის გაკეთებას შესძლებდა, რაც მის მეგობარს არასოდედ გაუკეთებია და ვერც ვერასდოროს გააკეთებდა, გაცილებით უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი საქმის, ვიდრე მყვირალურჩალისტიყაა“.

დიახ, ჯორისმაც სურდა რაღაც „მაღლალი და მნიშვნელოვანი რამის“ გაკეთება არ უნდოდა, ტუსალივით პროვინციულ დუბლინში გაეტარებინა მთელი სიცოცხლე, რომელსაც სხვა ქალაქებზე გალაპერი სა არ იყოს, თვით გარყვნილებითაც კი სჯეობდნენ. მაგრამ რა უშლიდა ხელს პატარი ჩანდლერს? ან რა იყო ის დიადი საქმე რომლის გაკეთებასაც აპირებდა? ამ კიობს

კებზე პასუხს „ხელოვანის პორტრეტში“
ვპოულობთ. ჯოისის ავტობიოგრაფიულ
გმირს, სტივენ დედალოსს, სურს, „მსოფლ-
იო კულტურის დღესასწაულზე“ მოხვდეს.
მაგრამ არსებობს დაბრკოლებაც, წინაა-
ღმდეგობაც, რომელსაც რაც უფრო სწრა-
ფად მოიშორებს, მით უკეთესი იქნება. მა-
ინც რა არის ეს დაბრკოლება? სტივენს
„შეურაცხყოფდა იმაზე ფიქრი, რომ მსოფ-
ლიო კულტურის დღესასწაულზე მხოლოდ
მოკრძალებული სტუმარი თუ იქნებოდა
და რომ მისი მონასტრული განათლება,
რომლის ტერმინებითაც ის ცდილობდა
ესთეტიკური ფილოსოფიის გამოწევას იმ
საუკუნეში, რომელშიც ცხოვრობდა, უფ-
რო მეტად არ ფასობდა, ვიდრე შევარდნ-
ით ნადირობისა და ჰერალდიკის უკნაური
და სასაცილო ჟარგონები“.

და აი, სტივენი მკევთორად ცვლის თავის ცხოვრების ნესს, ის უკვე მინოსის ლაბირინთის მშენებელი დედალოსია და არა პირველმონამე სტეფანეს მოსახელე სტივენი, მასში წარმართული მუსიკა იღვიძებს, თანდათანობით კი მეტად უცნაური პაროდიის დიდოსტატიც ხდება, რომელიც, ოთარ ჩხეიძის განმარტებით, ადამიანს „ნაღმაც შეიძლება გამოადგეს და უკულმაცა“. დიახ, „პაროდია ისეთი ხერხია, მხატვრული ხერხი“, რომ თუკი გამოიყენებ, ვერავინ შეეგებავება, ვერავინ გეტყვის, ღმერთს და სამშობლოს რატომ დასცინი ან „შავ მესას“ რატომ აღავლენენ შენი პერსონაჟებიო, რადგან მარტივად უპასუხებ — ეს პაროდიაა, პაროდია კი ისეთი რამას, რომ წალმაც მართალს გამოგაჩენს და უკულმაც.

მაინც როგორი ესთეტიკური ფილოსოფია უნდა გამოექვედა ჯოისს, რომ „მსოფლიოს კულტურის დღესასწაულზე“ მისით მოხიბლულყოვნენ? უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო პაროდიული სტილი შეემუშავებინა და სასაცილოდ გაეხადა ყველაფერი, რაც ირლანდიის ეროვნულ კარჩაკეტილობას უკავშირდებოდა, თანაც ისე, „თოთქოს ესარჩება ეროვნულ გმირებსა, ირლანდიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში რო დაცემულან... უცნაური გამოსარჩებაა, თავზარდამცემი შედარებაა, განსჯაც დნელია, გამეორებაც რო შემზარავია. თვითონ იმეორებს... მერე ათაბაშებს როგორც დასტირდება, სახელებსა და საქმეთ მათსა, ათაბაშებს და ერთობა, ერთობა და ართობს მკითხველსა. ვირტუოზია სტილისა ჯოისი, ვირტუოზია ინგლისური ენისა, ვირტუოზია ალუზიებისა, ასოციაციებისა, პაროდიის ვირტუოზია და ულმობელია პაროდიაში (“ოთარ ჩეგოძე, „სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა“”).

თავისი სასტიკა იარაღი — პაროდია,
ჯოისმა ჯერ კიდევ „ხელოვანის პორტრე-
ტში“ გამოცადა. და თანაც არა მხოლოდ
ირლანდიელ პატრიოტებზე, რომლებსაც
„შინაურ ბატებს“ უწოდებდა, არამედ თვით
უფალ იესოზეც. „სტივენა მეფის ფოტო-
გრაფიის ჟენე (იგულისხმება ნიკოლოზ II —
თ. ა.) გაიშვირა ხელი და თქვა:

— მოვრალ ქრისტეს მაგნიენბს“.

და აი, რადგან ერთხელ გაძედა, ეცყობა, იფიქრა, რომ გზა უკვე გაკვალული პქ-ონდა და მისი პაროდიის მანქანაც მოიმართა. მან თავისი სამშობლო პეტერ ღორს შეადარა. მისმა ულმობელმა პაროდიამ არც ირლანდიის თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი რობერტ ემეტსი დაინდო, როგორც ცნობილია, ემეტსმა, ვიდრე სიკვდილს მიუსჯიდნენ, ასეთი რამ ბრძანა: „როდესაც ჩემი ქვეყანა თავის ადგილს დაკავებს მსოფლიოს ხალხთა შორის, დე, მაშინ და მხოლოდ მაშინ დაინეროს ჩემი აძლე ათას მის წევის სამი ათას კონა“.

ეპიტაფია. შე ჩემი საქართველოს გავაკეთება.

ჯეიმზ ჯონსმა თავის 700 გვერდიან „ულისესი“ ეროვნული გმირის ეს ცნობილი სიტყვა რატომღაც მაინცდამაინც ლეოპოლდ ბლუმის მოსაქმებას დაამთხვია. გავიხსენოთ „ულისეს“ მეთერთმეტე ეპიზოდის „სირინზების“ ფინალი. ლეოპოლდ ბლუმი მოსასაქმებლად შედის. „ზღვაბლუმი, ხარბი სხვაბლუმი უკანასკნელ სიტყვებს ჭვრეტდ. დაყუჩებული. როცა ჩემი ქვეყანა თავის ადგილს დაიკავებს.

ლიტერატურული გაზეთი

ორი. დაინეროს ჩემი. რახრახრახრახრახ
ეპიტაფია. მე მო...
პრუნპრუნპრუნ.

სასპენტი

„ლმერთო ჩემო, ნეტა რა დავაშავე ნინი
ინკარნაციაში, რომ ამ სორომი მოვხვდი?“
— შესჩივლა ჯემიშმა თავის მეგობარ რობ
ერტ მაკალმონს. 1924 წელს, როდესაც აღ
ნიშნული ბარათი დაინერა, ჯონის უკვე
თვალის მეხუთე ოქერაციას იკეთებდა. ის
წლის 16 ივნისს ბლუმსდეის აზნიშვნა საა
ვადმყოფოში მოუნია, მეგობრებმა ყვავი
ლები მიართვეს. ყველაზე რთული რეაბი
ლიტაციის პერიოდი იყო. თვალაბვეულ
ჩაბნელებულ ოთხში უნდა წოლილიყო
ყმანებილობისძროინდელი მოგონებები
მოსვენებას უკარგავდა. სხეულებას ხან სიი
მთვრალები ცივ მინაზე ჩაინიებას აპრა
ლებდა (1910 წელს პირანოში, როცა დილ
ის სუსებმა ართრიტული ტკივილიც დაუ
ტოვა მხარში), ხან კი ლვისიგან განდგომა
სა და საკუთარ უსჯვულოებას. ყოველივე
ამას თან ერთვოდა ქალიშვილ ლუჩისა არ
ასტაბილური ფსიქიკური მდგომარეობაც
მოგვიანებით კი რძლისაც (ჯორჯოს მეულ
ლის). ნორა ბავშვების მოუნათლაობას აპრ
რალებდა ყველაფერს, ხან კი საცხოვრებე
ლი ადგილის ხშირ ცვლას, რომელიც ცუდ

ად მოქმედებდა ჯორჯისა და ლუჩია
ფსიქიატრები. შეეჩვენდნენ ბინას, კოლეჯს
მეგობრებს და უცრად სხვა ქალაქში უწე
ევდათ გადასვლა. მათი ცხოვრება false
start-ს ჰქავდა. ჩატბებოდნენ შეჯიბრში და
აღმოჩნდებოდა, რომ მამის გამო ყველა
ფერი თავიდან უნდა დაეწყოთ.

შართალია, „ულისეს“ მსოფლიო აღია-
რება მოუტანა, მაგრამ როგორც ეს დასაწ-
ყიშივე აღვნიშნე, თავდაპირველად მას
ირლანდიაში ებრაელების გარდა არავინ
კითხულობდა. წესით და რიგით, არც უნდა
გაკვირვებოდა, სემიტებს „ულისე“ ასე რორ
მოსწონდათ, რადგან ეს იყო რომანი ორ-
ერის — ებრაელებისა და ირლანდიელების
ის — შესახებ, როგორც ამას ავტორი აღნი
შნავდა, და შეიძლება თამამად ითქვას კი
დეც, რომაზ თბზულებაში ებრაელებისად
მი გაცილებით მეტ სითბოსა და თანაგრძ-
ნობას გამოხატავდა, ვიდრე საკუთარი
თვისტომისადმი. ამ უცნაურ გარემოებას
ბიოგრაფიული ახსნაც შეიძლება, მოექცე-
ნოს. სამშობლოდან წასვლის წინ ჯოისა
ფათერაკი შეემთხვა — სტივენზ გრინჩე
თვალი ჩაულურჯეს. გვერდზე მდგომ ირ-
ლანდიელ მეგობარ კოსგრეივს მის დასახ-
მარებლად ხელიც არ გაუნიძრევია, თავი
ჩალუნა და იქაურობას გაეცალა, მამამისი
ის ნაცნობი ებრაელი ჰანტერი კი მიეშვე-
ლა, წამოაყენა, სისხლი მობანა და სახლში
წაიყვანა. სწორედ ჰანტერი გახდა მოგვია-
ნებით „ულისეს“ ერთ-ერთი მთავარი გმი-
რის, უნგრული წარმოშობის ებრაელის
ლეოპოლდ ბლუმის, პროტოტიპი.

ჯოისს ბევრი ებრაელი მეგობარი ჰყავდა
და, ისინი გვერდში ედგნენ როგორც ფინა
ნსურად, ასევე სულიერადაც. ციურისი
კაფე „ოდეობში“ მან ბევრი გავლენიანი ბი
ზნესმენი, მეცნიერი და მომავალი პოლი
ტიკოსი გაიცნო. საგულისხმოა, რომ სწო
რედ შევიცარიში ყოვნისას გაიზიარა ვი
ქტორ ბერარდის თეორიაც ოდისევისი
სემიტობის შესახებ. მნერალი არ ეთანხმება
ბოდა შეთქმულების თეორიის მომხრეთ
თვალსაზრისის, რომ ინგლისი ვითომცდა
ებრაელთა ხელში იყო. ჯემზის ლიტერა
ტურული ორეული სტივენი ასე პასუხობი
სკოლის დირექტორ დიზის, რომელიც უმა
ტყიცებდა, ყველაფერი ებრაელების ხელ
შია, მნიშვნელოვანი თანამდებობებიც, ფი
ნანსებიც და პრესაცი: „ვაჭარი, თქვა სტივ
ენმა, განა ის არ არის, ვინც იაფად ყიდუ
ლობს და ძირად ყიდის, გინდ ებრაელი იყ
ოსა და ინონ „რა?“

ଓলি রেড গ্রনাঠ — আমা?
ডোক, জ্বলিসি তাৰান্মুগ্ধৰণৰোধ সিৰ্কেটৰ
ৰূপি সাৰ্মণৰ্দলৱৰ্ণন গাৰ্হণ কৰিবলৈ সেমি প্ৰেৰণ
ডা অমাৰ্শি উৰুবুলৱৰ্ণন আৰাজীৰোৱা, রাঙাগাৰ
ঝৰা এলো খাৰণো উত্তুণো ইমসাৰুৰোৰ্ভ দ্বাৰা নিৰ্মা
ন্ডা মিন্দা শৈব ফাৰ্মুলুৰোৰ্ভ দ্বাৰা, রাজ নাৰিন্দা সেন্টাৰ
মেট্রিযুলেশনোৰ্ভ প্ৰযো (খৰ. দানিৰেলী, 12, 7). জো
ইসিসি শ্ৰেষ্ঠত্বেৱে আশি উৰুবুলৱৰ্ণনোৱাৰা, রোম সাকা
জুতাৰ তাৰান্মুগ্ধৰণৰোধ সিৰ্কেটৰ উচ্চাবণ্ড কৰিবলৈ
সৰলীভূত কৰিব। মেট্ৰিযুলেশনোৰ্ভ কৰাৰ পৰিপৰা
কৰিবলৈ মনৰ কৰণোৰ্ভ দ্বাৰা আৰম্ভ কৰিবলৈ
কৰিবলৈ মনৰ কৰণোৰ্ভ দ্বাৰা আৰম্ভ কৰিবলৈ

სან კი — „შინაურ ბატებად“. თუმცა ერს რომელმაც ვრცელი შვიდსაუკუნოვანი პერიოდის შემდეგ მიაღწია დამოუკიდებლობას, ალბათ დასაციინი არაფერი სჭირდა ირლანდიულებმა გაუძლეს ცველაფერს — რეპრესიებს, სიღუბჭირეს, დამცირებას და მაინც აშენეს წარმატებული ქვეყანა, რომელიც დღესდღობით ეკონომიკური მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე მეშვიდე ადგილზეა მსოფლიოში.

ირლანდიამ გაიმარჯვა, გელური ენა შეინარჩუნა და თვითმყოფადობაც. თავის სეპურად გაიმარჯვა ჯონისმაც, მანაც შეისრულა მიზანი, მოხვდა „ხელოვნების ზეიმზე“, თანაც ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ თუმცა ამ გამარჯვებას არ გაუბედნიერებდა, თითქოს უხაროდა და არც უხაროდ ირლანდიის დამოუკიდებლობა. ხანდახა მოუნდებოდა, საკუთარ ვაჟთან ერთად დუბლინის ქუჩებში გაესირნა, მაგრამ რა ღაც აბრკოლებდა, ძველი წყენა თუ ბრაზი ირლანდიაც უაწყობდა. არადა უკეთ დაეწერა XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რომანი ყველაზე გრძელი დღის შესახებ — „ულისეს“; ამჯერად კი მუშაობდა „ფინეგრის ქელებზე“, თბზულებაზე ყველაზე გრძელი დამის შესახებ. გაგზავნი კიდეც პირველი თავები ამერიკაში, მაგრა დაუწუნეს. ხანდახან მიაჩნდა, რომ მეგობრებიც ვეღარ უგებდნენ, თვალის ოპერაციების შემდეგ კი ნათელიც ბნელად ეჩვენებოდა — იქნებ ესეც ღვთის სასჯელი იყო?

ოილო. ინგლისელებმა შეწყვიტეს ირლანდიულების არმიაში გაწვევა. ჯონის თითო ტოს უხაროდა და თან არც უხაროდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ძლის რომ იკრებდა. ალბათ, მოგვინეუს ძალა ჩემს ვაჟს, ჯორჯის დუბლინში ჩასვლა ტანსაცმელზე მიმაგრებული სამყურაოს (ეროვნული სმიბოლო), უთქვამს ერთხელ თუმცა როცა მოგვანებით ჰკითხეს, მალე მოიპოვებდა თუ არა ირლანდია დამოუკიდებლობას, გაღიზიანებულმა უბასუნებ „რატომ, რომ თავი მის პირველ მტრად გამოვაცხადო?“ მომდევნო კითხვას: „მოკადებოდა თუ არა ირლანდიისთვის?“ კი ასე უპასუხა: „უმჯობესია, ირლანდია მოკვდებრიმთვის!“

დიახ, ჯონისი ამაყი იყო. თანაც არჩევნი უკვე გაეკთებული ჸქონდა, მაგრა სასაცლოდაც არ ჸყოფნიდა თანამემამულეთ მცდელობა, აღედგინათ მიენიჭებული გალური ენა, ეროვნული სპორტული სახეობები და ჩაღრმავებოდნენ პრიმიტიულ ჸროიკულ ძველ ირლანდიურ ლეგენდებ რომლებიც ჯონის ტლანქად და ულიმლოდ მიაჩნდა, არც ის უნდოდა, „ერთგული, გონებაჩლუნგი მონის მორჩილებით ჩამდგარიყო კათოლიკური ეკლესიის სასახურში. მას შსოფლიო კულტურის დღის სასწაულზე მოხვედრა სურდა. ამისთვის კი, მწერლურ ნიჭთან და კოსმოპოლიტურ მისწრაფებებთან ერთად, გავლენიანი მეტობების მხარდაჭერაც იყო საჭირო, და, მალე მფარველიც გამოუჩნდა იეკიტის

ასე რომ, ჯოისი უკვე საკმაოდ გავლენა-იან ნაცნობთა წრეში ტრიალებდა, რომ-ლებიც მსოფლიო რევოლუციებსა და ახა-ლი ლიტერატურული მიმდინარეობების შექმნაშიც კი მონაწილეობდნენ. რომ არა ისინი, თვით ნიჭიერი ჯოისიც კი ვერ გაიკ-ვლევდა გზას მწერლურ ასპარეზზე ასეთი სისწრაფით, რადგან მატერიალური და მო-რალური მხარდაჭერის გარეშე თავს ვერ




አዲስአበባ

მეგობარი ეზრა პაუნდი, რომელმაც ჯოის „ხელოვანის პორტრეტის“ „სერიული ძალებით დაინტენცირა ამერიკულ უურნალ „ეგოისტი“ 1913 წლის 2 თებერვალს, მანამდე კ 15 იანვარს გამოაქვეყნა ნერილი სათავო ით „უცნაური ისტორია“, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ როგორ დაიბლოკა „დულინელების“ გამოცემა ირლანდიაში. მას უურნალის მენეჯერი, მის ჰარიეტ ვიკერ ჯოისის ერთ-ოთხეულოვან მეგობარ და დასაყრდენი გახდა, რომელიც სიკვდილამდე ზრუნავდა მის მატერიალურ მდგრად მარეობაზე. ამრიგად, უურნალ „ეგოისტიანი“ თანამშრომლობა ჯოისის სივრცის ერთ-ერთ უმნიშვნელოვან ფრანგულ მედიაში მოიპოვა. 1914 წლის 1 ივნისს ნინგადაც გამოვიდა „დუბლინელების“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვან ფრანგულ მედიაში.

გაიტანდა და, შესაბამისად, ვერც ახალ ნი-
გნს შექმნიდა, „ულისეს“, რომელსაც მოგ-
ვიანებით მოდერნისტული ლიტერატურ-
ის „უმთავრეს თხზულებად მიიჩნიათნინდნ.

კის ნაკვალევზე...“
შესაძლოა, სიკვდილის წინა დღეებში
ძველი მეტოქის წიგნის კითხვისას ჯოიისს
ყურშიც კი ჩაესმოდა ბაკ მაღლიგანის (გოგ-
არტის ლიტერატურული ორეულის) სიტ-
ყვები: „ღმერთმანი, კინჩ, მე და შენ ერთად
რომ გვემუშავა, ამ კუნძულს რამეს მოვუხ-
ერხებდით, გავაელინურებდით“, ან თუნ-
დაც: „რა მოხდებოდა დაგეჩიქა, კინჩ, რო-
ცა ავადყოფი დედა ამას გთხოვდა...“ შენ
კი უარი უთხარი...“

ასე იყო თუ ისე, ვირტუალური დუელი
ირლანდიასა და გოგარტთან არასდროს
შეწყვეტილა...



გიორგი ლობჟანიძე

შორეული ნაოსობის მატროსს

აღარ მახსოვეს, როდის გადავეყარე, აღარ მახსოვეს, შევეფეთე რა დროს, იმ დაკუნთულს, შუშპარას და მჩქეფარეს, შორეული ნაოსობის მატროსს.
ღმერთო ჩემო, რა საშინლად ვიგიუე, ღმერთო ჩემო, როგორ გამოვთვერი, მე კვოცნიდი, ის კი ლექსებს მიძღვნიდა: „შენ ქვიშაზე მიდიოდი, მერი“. მაგრამ მერე თვით წავიდა... გაცურა... მე კი, როგორც ნაკვერჩხალი დადარში, ასე დავრჩი, ლოყებმიმობრანული, დავრჩი, მაგრამ...
ვერ გეტყვით, რომ გადავრჩი... ჩამომაგდო ზედ ხომალდის ტრაპიდან, უხეშობა დააბრალა ამინდს. ჩემ მაგიერ, გევედრებით, კაპიტან, შეიყვარეთ... მხოლოდ... ერთი დამით. რათა მიხვდეს, თუ როგორი ძნელია სიყვარულის მოცახცახე შფოთი, ერთ ღამეს რომ ზედ ჩიტივით დაგისვმს, დილოთ ტყდება, როგორც ხმელი ტოტი... როს შენთან მყოფს ყველას ვნება სრულიად განურჩევლად ერთნაირად ათრობს. მაგრამ... მაგრამ... იგი ჩემი გულია, გადაეცით უპატრონო მატროსს. მოგონების მოლაპლაპე ძაფიდან მე მოვუქსოვ საუცხოო ტოგას... თქვენ კი სიქა გაცალეთ, კაპიტან, სიყვარულში თვით თავდაუზოგავს. რათა ეგებ ნასხისარი სხეულით არასოდეს აღარ მიმენატროს... მხოლოდ მერე უთხარით, რომ მიყვარდა, — შორეული ნაოსობის მატროსს.

ხო იცი, რომ
რაც გინდა, მოხდეს,
მე შენთანა ვარ! —
მეუბნება ჩემი დალლილი მეგობარი,
რომელიც, უკვე კარგახანია,
არსად არ არის,
და მათ შორის, თავის თავთანაც.
თავსაც გაურბის...
ჩენ — შითუმეტეს —
შხამიანი ყვავილებივით...
ყოველი სიტყვის ფასი იცის,
რასაც ამბობს,
და უფრო კარგად იცის
უთქმელი სიტყვების ფასი,
რომელსაც
თავის მარტოობით,
დუმილით იხდის...

ის ფანჯარაა,
გვირეკლავს და
არ გვიშვებს შიგნით,
იქნებ, ფანჯარაც არ არის,
და ის არის წიგნი,
რომელიც ჩენებს ცხოვრებას
და ილბალს გვიყვება,
უკვე დაწერილს,
სადაც ახლა
გვირცერს შეცცვლით,
განდ სინანულით
ყელს მძივივით
შიშივილი ვიბათ,
განდ გამნარებით
განვაბნიოთ
არამი ვერცხლი...
ჩენი ძმობა არასოდეს არ წაიშლება... —
მეუბნება.
მე კი მარტო მივდევ გზა-შარას.
სადაც აღარ ჩანს,
რა მანძილი გამოვიარეთ,
რადგან ყველა ნაფეხური
თოვამ წაშალა...

ყველას რომ თავის
კომპლექსები ალაპარაკებს,
შენ რატომ წერ ამდენ ლექსებს,
რა არ გასვენებს?
ნერე შენთვის,
საკუთარი წაგავი ქექე.
შედი წარსულში —
ძველმანებით გამოტენილ საკუჭნაოში,
იქ ყოველთვის ალმოაზნ რაღაც საშენოს,
რასაც მზერა წამოედება,
როგორც ნემსკავს ჭიაყელა
და ამით მერე, ეგება და,
ფიქრიც მოჩანგლო,
როგორც თევზი,
იქნებ ოქროსიც.
მერე რას იზამ,
მართლა რომ გითხრას ოქროს თევზმა:
გამიშვი და სამ სურვილსაც შეგისრულებო.
წარსულში არჩევ,
სურვილები რომ შეგისრულოს,
თუ მომავალში?
ასრულებული სურვილები

გვაკომპლექსებენ...
და სულერთია, რას ინატრებ,
ან ვას რას ეტყვით...
ყველს, რის გაგონებაც სურს,
მანც ის ესმის...
გაუშვით თევზი!
გაუშვით თევზი!
თევზი გაუშვი!

მარცვის სეზონი

ძველი კაიროს ხმაურიან,
სასონარმკვეთ
დღესასწაულში
ბედუინი გაურეცხავ მარწყვს მაძალებდა:
— გასინჯე,
ნუ გეშინია,
არაფერს გიზამს!
თაფლივით ტკბილი მარწყვია და
თანაც ახლა იანვარია —
მარწყვის უამიო.
მაგრამ ჩემთვის მარწყვის სეზონი
მაისში დგება
და რა მოხდა,
თუ ვიცი, რომ აფრიკაში ვარ.
მარწყვის წესია:
მაისში და ივნისში მწიფდეს.
იანვარში
ჩვენთან მარწყვი
მარტო ბოროტ დედინაცვალს თუ მოუნდება,
რომ კონკა გააგზავნოს იმის საშოვნად
და ჩვენც ასე შეგვიტყუოს
სასტიკი ზღაპრის
უსაშინლეს ყინვაში, სადაც
წელინადის თორმეტი თვე
დარიბი გოგოს გარმემო ცეკვავს
დედინაცვლისთვის წასაღები
მარწყვის უცებ დასამნიფებლად.
მე კი აქ ვდგავარ,
შიგ შუაგულ მარწყვის სეზონში
და ბედუინს ვეუბნები,
რომ გაურეცხავ მარწყვს ვერ გავსინჯავ.
იმან კი:
„აბა, მე თუ რამე მომივა,
ნახე!“ —
თაფლივით მარწყვი მუჭა-მუჭა იყარა პირში.
მართალიც იყო:
რას მოგრამლავს სეზონის მარწყვი,
თუკა გაიგებ,
როდის მოდის მარწყვის სეზონი?
და ჭუჭყიც განა ისაა,
რასაც წყალი წარეცხავს! —
თორემ მარწყვივით სამარწყვეებს —
ტკბილ-ტკბილ ადგილებს
უდაბნოში
ქვიშითაც კარგად იხეხავენ ბედუინები.
წელინადის თორმეტი თვე ბუქნავს
ჩემ ირგვლივ
სიცოცხლისათვის ფეთიანი ბედუინივით
და როცა მინდა,
მაშინ დგება
მარწყვის სეზონი.

ეჯვი

აი, ასე ჩაიარა ჩემმა ცხოვრებამ.
როგორ უნდა ვიყო მისით უკმაყოფილო?
გარეგნულად ის ისეთი მშვენიერია! —
ბედნიერი,
თვინიერი,
ამყოლ-დამყოლი.
გვერდით მიმდევს მუდამ ტკბილი მეგობარივით,
კარგი შვილივით სულ თვალებში შემომციცინებს,
მანებივრებს
უცხო თვალის დასანახავად...
გარეგნულადაც ძალიან მგავს,
ისე, რომ
ყველა,
ვინც კი გვხედავს
ერთად მიმავალთ,
გაიძხის —
„ზედმოჭრილი მამამისია!“
შეიძლება, ასეცაა:
ის მე შევქმნი,
მე გამოვზარდე
წვალებით და
ვაი-ვაგლახით
და, ცხადია,
ძალიან მიყვარს.
მაგრამ ვიცი:
ჩემი არ არის!
მიუხედავდ ამის ჭკუის და სილამაზის,
ნამდვილი შვილი —
შედარებით შეუხედავი —
სამშობიარო სახლში ჩუმად გამოგვიცვალეს.
ახლა რაღა დროს ეჭვები და სინანულია?! —
როცა მე ეს შევიყვარე და გამოვზარდე.
ჩემი პირში ხომ ეს არის —
ჩემი ნაამაგარი,
მაგრამ ხანდახან,
როგორც ჩახმახს,
გამომკრავს გული:
რომ ის — ნაძდვილი —,
რომელიც სულ სხვებთან აღმოჩნდა,
ვერ მიიღე,
ვერ გაუგეს,
ვერ შეიყვარეს...

სიძულვილი — ალბათ ასე ერქმეოდა
ტრაგიკულ და მშვენიერ ქანდაკებას. მნხ-
ველს აღაფრთოვანებდა, ავტორს დიდებ-
ას მოუტანდა. ოლო არაა სხეულის მდგო-
მარეობით გადმოსცე წმინდა წყლის სიძუ-
ლვილი და რაღაც უფრო მეტიც, ალბათ
სიკვდილის მზაობა. ეს დაშვება ყოველი
ორთაპრძოლის წინ უნდა ჰქონდეს მეპრ-
ძოლს. არაფინ იცის, რით დამთავრდება ომი.
შეიძლება გამოიუცდელად მოქნეულმა, მი-
ზანს ცოტათი აცდენილმა, შეუიარაღებე-
ლმა ხელმაც კი ისეთი წერტილით დაახეთ-
ქებინოს თავი ადამიანს მინიდან ამონვერ-
ილ ქვაზე, რომ მოკლას. ამიტომ ან არ ერ-
თვები ჩატარდებოდა ან წინასწარ ანერ ხელს
შენსა თუ სხვის სიკვდილს. თუმცა, არჩევა-
ნი თითქმის არც არსებობს იქ, სადაც კა-
ცები ანგარიშსწორებას თუ სანესჩევულე-
ბო სამართლის ალსრულებას საკუთარ თა-
ვზე იღებენ. იქნება არც უნდათ ამის გაკე-
თება, მაგრამ, აპა, მათ ვინ ჰყითხავთ?! ჰო-
და, როცა ეს ინერცია კაცს საკუთარი ფე-
ით მიიყვანს ბრძოლის ველამდე, იქ უკვე
ერთადერთი წესი რჩება: თავზეხელაღებ-
ულობა. შიში მარცხია. უკან დახევის დაშვ-
ება მარცხია. მოლაპარაკების დრო და ად-
გილი აღარაა. არსებობს უსიტყვო მზერის
წამი, რომლიდანაც იოლად იკითხება, ვინ
უფრო მეტზეა წამსვლელი. ეს რაუნდი
თვალებში ჩახედვით იწყება და იქვე წყდე-
ბა.

საბა და თემო. ამ ორიდან არავინ ჰეგავს
გამძლევსა ან უკან დამხევს. არც მეგობრების უწყინარი წაკიდებაა ზოოპარკის უკანა ტერიტორიაზე, ტყეში განმარტოება და ერთმანეთის პირის სპირ ჯიქურ დადგომა. თემო ძალიან მაღალია, თხელი, საბა მასზე ოდნავ დაბალი და უფრო ჯანიანი. ტოლები არიან, ცხრამეტი წლისაპირი. ამ სიძულვილის ქანდაკებას ერთი მხრიდან თუ შექედავ, გამხდარი თემო მთლიანად ფარავს საბას სიმალლით, თუმცა მისი თხელი ზურგი მიღმა მაინც მოჩანს საბას უპირატესობა — განიერო მხრების კუთხეები და ძლიერი მეღავები. მეორე მხრიდან სხროედ საბას მსხვილი კისრისა და თავის აყოლებაზე იმზირება თემოს მაღალი შუბლი. თმა ორივეს ღია წაბლისფერი აქვს და მჭახებიზე იქროსფრად უბრნწყინავს. თითქოს ჰგვანან კიდეც ერთმანეთს, ამ წუთას ნამდვილად ჰგვანან, დიდი, ამძლვრეული თვალებით, ერთნაირად გაფართოებული გუგებით, დაცვარული შუბლებით, რომლებიც ისე ახლოს მიუტანიათ, წესით, ერთმანეთის სუნთქვასაც უნდა გრძნობდნენ, მაგრამ არ სუნთქვავენ.

— დედაქმისგან რა გინდა, შე ნაბიჭვა-
რო?! — ამოიხრიალებს ბოლოს საბა და
წყლიდან ამოყვინთულივით ხარბად ჩაი-
სუნთქვას ჰაერს.

სიტყვა დამთავრებული არ აქვს, რომ
კისერს უკან სწევს და თავს მთელი ძალით
ურტყამს თემოს ცხვირში. ნაბარბაცებუ-
ლი თამრი უნგებლიერ ღმუის. თითქოს ამუკ-
ან გადადგმული ნაბიჯით კიდევ უფრო
მეტ ძალას იკრებს და ისე სწრაფად უბრუ-
ნებს საპასუხო მუშტს, საპა რეაგირებას
ვერ ასწრებს. ახლა უკვე ორივე სუნთქავს,

გამალებით, მოკლედ, ხმაურით. ცხვირიდან სისხლი სდით. გამეტებით იქნევენ ხელფეხს, ხან ყელში სწვდებიან ერთმანეთს, ხან წიხლებს უშენენ. ქოშინებენ და მინაზე გორავენ. ძეგლებს სამდგომად აღარ ჰგავნან, თუმცა სიძულვილი ისევ აერთიანებთ და ტკივილსაც სიძულვილი უყუჩებთ. თითქოს მთელი ცხოვრების ყველა წყვნაზე უნდა აგბინონ ერთმანეთს პასუხი, ერთ მუჭში მოაქციონ ყველა პასუხგაუცემელი უსამართლობა, რაც კი ოდესამე გადახდენათ და ამ მუჭით ჩატენონ ერთმანეთის სხეულებში. ტყესაც უჩქარდება სუნთქვა, უთორთის ტოტები და უდელავს მდინარე.

Апсаабара — ბუნება თემოს ენაზე სიტყვა-სიტყვით ასეა: ის, რასაც ხედავს სული. ტყეში შეყრილი ორი სული ახლა ვერაფერს

Апсаbara — ბუნება თემოს ენაზე სიტყვა-სიტყვით ასეა: ის, რასაც ხედავს სული. ტყეში შეყრილი ორი სული ახლა ვერაფერს

თემოც სწორედ ცირკის მსახიობივით, თო-
კზე მოსიარულესავით შედგამს ფეხს ყვი-
თელ მიღწეუ. ერთი, მეორე, მესამე განო-
ნასწორებული, მოულოდნელად თამამი
ნაბიჯო... თითქოს ვინწრო არჩებე კი არა,
ტროტუარზე მიაბიჯებდეს.

საბა ძალობის პირისაპირ მარტო რჩე-

— ნამი! — ისმის ამ დროს თებოს ნა.

საა ისტინქტუროად ისედაც უკან იხევს, ჰაერში გამოკიდებულ ყვითელ მიღს და ზედ ამხედრებულ თემოს უკანსვლით უახლოვდება. ამაში ძალებიც უხმარებიან, ყეფით მერეკებიან ხევისკენ. საბას ახალი განგაში უკვეთს მუხლებს: თვალს მდ-



ეკატერინე ტომონიძე

განახლება

რაგმენტი მომავალი მოთხრობიდან

ხედავს, მიზანში ამოღებული ერთმანეთის გარდა. არც ის ავი ხედება ჩატარების, რომლებიც ქარს მდინარის ჩუქჩებთან, ფიჩხების ტკაცატკუჯასა და მათ ხვენებასთან შეწყობილად საიდანლაც სულ უფრო მკაფიოდ მოაქსეს. ბოლოს და ბოლოს თემოს ჩვეულებრივზე მეტად გავარჯიშებულ სმენას ძაღლების ყეფას წერდება. რთული გასარჩევია რამდენის, მაგრამ ეს რიტმული მუქარა სწრაფად მძაფრდება და ავად მოასწავებს მანანანალა ხროვის მოახლოებას. გაოფლილი, დასისხლიანებული, გაუტკივარებული ბიჭები გონის უკვე ძაღლების ალყაში ეგებიან. არსაიდან გაჩენილი აჯავრული მხეცები ბიჭების გარშემო შეთანხმებულებივით იკავებენ და იძლიერებენ პოზიციებს. სამს ყურზე საჭდე ყვითლად უელავს. დანარჩენი ორი, როგორც ჩას, ინარისკენ აპარებს და ანცვეტილი ცხოველების შიშის უკვე სიმაღლის შიში ფარაგს. — გაგიუდი, ბიჭო?! — ყელიდან ხავილი ამოსდის. — ნამოდი-მეტეი, — მტკიცედ იმეორებს თემო და უკან ბრუნდება, მილის სათავეში. — მანდ ვერ გადავალოთ, — საბა თემოსკენ ზურგით დგას, გამწარებული იქნევს ჯოხს და ძაღლებს აგინებს. — მოკიდე ხელი, — თემო მაისურის ნახევრად ჩამოხეულ ნაწილს უწვდის, ხელში აჩერებს, ძაღლივით გამოიბამს. საბაც მექანიკურად ჩაბლუჯავს ზურგშექცეული თემოს მაისურს — განელილი, სისხლიანი ქსოვილი თემოსგან ნახევარ მეტრში ამყოფებს და საბელივით წინ ექა-ჩება.

ଅଲ୍ଲୁରିକ୍ଷାବୀରା. ଏରତ୍ସ ପ୍ରାଣ ତ୍ଵାଳନ୍ଧେ ମେନ୍ଦ୍ରିୟ-
ଫ୍ରିର ଲୋଦରୀ ଗ୍ରାହକ୍ୟାଗ୍ରହିରୀରା, ରାତ୍ରି କାହିଁଏ ଉତ୍-
ରନ୍ ସାଶିଶ ସାନାବ୍ାଜୁଥିଲେବୁ. ଏବେଳୀ ଏବେଳୀ
ଦରଦରିଲେବୀରୀ କ୍ଷାମାଲୀ ଲେଖେବୁଶାତ୍ ଆପ୍ଯଗିବାତ. ଏତ୍ତାଙ୍କ
ତାପଦାରୀରେବାରୀ, ଏତ୍ତାଙ୍କ ଏରିତାନ୍ତିରୀରୀ ଦାଳା ଦା
ନିମ ତାପଶ୍ରେଷ୍ଠାଲ୍ଲାଭ୍ୟାସରୀରୀରୀ ଫାଶିପୁ, ରନ୍ଧେ-
ଲୋପ ପ୍ରକାରରୀ କିମ୍ବାକିମ୍ବା ପୂର୍ବିରାତ୍ମିକୀରୀ. ଶ୍ଵରମୁ-
ରୁତକ୍ଷମେଲାଭ ପ୍ରେରଣ, ଗାଢମୁଲାଭ, ଗାଢମୁରୁଭ୍ୟ-
ଭଲାଭ. ଦାଶର କବିଲ୍ଲେବୀରୀ ଅର୍ଥନ୍ତର, ତିତକ୍ଷେତ୍ରରୀ ଉଚ୍ଛି-
ବ୍ୟବୀରାନ୍, ରନ୍ଧମ ଅଥ କବିଲ୍ଲେବୀରାମଭାବ ଶେଇବାରାଭ୍ୟାସ-
ଲେବୀ ପ୍ରକାରରୀ ଦାମାରୁତ୍ସବୀରୀ. ମାତ୍ରି ନାର-
ାଲୀପ, ଦୋଷ୍ଟେବୀରୀ ଏବେ ନ୍ୟୁନ୍, ମରିଲେବାନ୍ତରୀ ଏବେ
ଶ୍ଵରିଶରୀରାବୀ. ଦାଶାକ୍ଷାରିଗୁ ଏକାପ୍ରକାର ଏକାପ୍ରକାର.

ନାମିତ ଗାନ୍ଧେଶ୍ୱରଭ୍ୟାଲୀ ତ୍ରୈମା ଏବେ ସାବା ମିନ୍-
ଦିନ କାହିଁଏ କାହିଁଏ କାହିଁଏ କାହିଁଏ କାହିଁଏ କାହିଁଏ

დაან გამაღლებით წამოპობდღებიან, დაზაფ-
რულები დაბეგვილ ფერდებს წამოკრეფენ.
ძაღლები ბრდდლვინავენ, წრეს ავინროებენ
და ხელსაყრელ მომენტს ექცენ, რომ მათ
ტერიტორიაზე შემოჭრილი უწესრიგობა
აღკვეთონ და გაანეთირალონ.

— ერთად უნდა ვიაროთ, — მეორე ნა-
ბიჯზევე აფრთხილებს აძაგაგებულ მილ-
ზე შეტორტმანებული თემო, — ნახე, როგ-
ორ ირყევა...

გაფითრებული საბა აკანკალებულ მუ-
ხლებს ვერ იმორჩილებს.

— ეეე! — იღრიალებს საბა. ამაოდ
ცდილობს ყეფის გადაფარება.

მიწიდან ჯოხს იღებს. მისი ეს წამიერი დახრა კიდევ უფრო ათამამებს ცალთვა-ლას, უარითან უახლოვოვნება. რომ უბი- კი არა, მეორე ნაპირს გასძახის.

მასზე მატარებლის ვაგონივით ჩაბმუ-ლი საბა ძლიერია; ასაკი ებათ ომზის;

ლას, უკინდაბა უახლოვდება, მომ კი ღებით ჩააფრინდეს, წააქციოს, ათრიოს — დანარჩენებს საქმე გაუადვილოს. საბა ლი საბა ძლივს გასაგებად ღოუის: — დაითვალე... თვემ, თითქოს, ისედაც აპირებდა ამის

— ერთი-ორი! — ხმამაღლა ინყებს, —

ყვითელსაჭდიანები. თემო რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს და ხრამის პირზე ალმოჩნდება. მდინარე ვერეზე წყალგაყვანოლობის კინორ მილია გადაბული და ეს იმ ერთი-ორი! მიდი!

— ერთი-ორი! — ბორძისით იმეორებს საბა, ცდილობს, შიშით ჩამწყდარი ხმა ააყოლოს.

— ერთი-ორი! — ომახიანად განაგრძოს თემო და მათი ფრთხილი, პატარა ნაბიჯებიც ნელ-ნელა მწყობრში მოდის,

თანაბრად მიიწევს წინ მიღის ზანზართან
შეწყობილი.

ძალლები უკვე ინტერციით ყეფებს. შეცოლილია მათი ხმაცა და ინტენსივობაც, იმ-ედგაცრუებულები შეჰყურებენ ხიდზე აცოცებულ ადამიანებს, თითქოს გულიც სწყდებათ, რომ საკბილო გამოეცალათ, თან კმაყოფილებაც ეტყობათ — იოლად გაიმარჯვეს, საფრთხე მარტივად განდევნებს. ყვითელსაჭდიანი ინტერესდაგარეული ადუნებს კუნთებს, მეორეს უკვე კუდიც უქიმინებს. მესამე სირბილით ნახევარ წრეებს ხაზავს, ხან მარჯვნიდან შეუყვეს რკინის მილს, ხან მარცხნიდან უღრენს. ცალთვალას ძლიერი თათი შემოუდგამს ამ ვითომ ხიდზე, მესუთე ძალლიც გვერდში ამოსდგომია და ისე მისახაინ აგრესული მუქარისი ბეგერებს, რომ ვეღარასდროს გაძედონ უკან დაბრუნება.

ძალებისგან თავდალნეული ბიჭები
ახალ საფრთხეს უახლოვდებიან. სულ უფ-
რო საშიშია მილიდან ჩავარდნა, სულ უფ-
რო ღრმავდება ხევი, მდინარეს კი სიღრმე
არ ჰყოფნის გასაცურად. ქვემოთ ბიჭების
ჩრდილი მოჩანს. თავგანწირული თვლა
მდინარის ხმას ჩაუყლაპავს და წყლის ხმა-
ურში ნაპირებს შირის გაბატულ გრძელ თო-
კზე ორი დამფრთხალი სილუეტი მიღო-
დავს. იმ სიამის ტყუპებს ჰგავნან, რომ-
ლებიც ერთმანეთზე სამუდამოდ და საიმე-
დოდ არიან გადაბმული, ან, იქნებ, უიმე-
დოდ, საბედისწეროდ, ფატალურად. ცხოვ-
რებამ ორი სიცოცხლე არგუნა, მაგრამ სი-
კვდილი იქნება ერთი.

საბას ტკივილის შეგრძნება უძრუნდება. თავი უსკდება, თითქოს საფეხოქლებზე რკინის სარტყელი წაუჭირებს. თემოს კეფას მიმშეტერებულს უსასრულოდ ერვენება ეს საპარო მარში, დამთავრება აღარ უწერია ცაში სვლას. ნუთუ დარჩენილი ცხოვრება ასე უნდა გაატაროს, ხახადაღებული ხე- გის თავზე დაკიდებულმა, სიმაღლის ტყვევები და სიამის ტყუბმა?! ასეთი ერთობა არასდროს არავისთან უგრძნია. ან მხოლოდ ღრმა ბაგშვიობაში, მხოლოდ მამასთან, როცა ის თავის ძლიერ ხელებს იღლიებში ამოსდებდა, პატარა ტერჯებს თავისაზე შემოიწყობდა და ოთახებში დაატარებდა: ერთორი, ერთი-ორი... საბა ახლაც ახალფეხა-დგმულივით ეჭიდება თემოს მაისურს, ქსოვილს ჩაბდაუჭებულ ხელში სისხლი უჩერდება, თითები უღლურჯდება. ჩაფრენია ჭოჭინის სახელურივით და სწავლობს სი- არულს, სიარულს ჰაერში. შარვლის ქვედა, ელვიან ჯიბეში ორი ტელეფონი ამძიმებს, თავისი და თემოსი. ახლა სწორედ ამას აპ- რალებს წონასწორობის დარღვევას, გირი- ვით ჰყიდია, უფსკრულისკენ ექაჩება. თე- მოს ტელეფონი განსაკუთრებით მძიმეა. რაც შეგნით ნახა, ის უმძიმებს ფიქრებს, უღრღნის გულს და ჰყარნახობს: ნახევა- რმიტრიან დისტანცია სა მარისია. რომ

თვლის ორობითი სისტემა. ეს საბას პროფესიის ნაწილია, მისი ენა, რომელიც კომპიუტერის ტექსტის, მონაცემებისა და შესრულებადი პროგრამების სანერად სჭირდება. საბას ენაზე რიცხვი ორი მეორე თანრიგის ერთეულად ითვლება და ასე ჩაინირება: ერთი და ნული — 10. ორობითი სისტემის უცოდინარი ადამიანისთვის ეს ათიანია. ახლა საბასთვისაც ერთზე მეტია თემო. თვალი ისე დასივებია, გეგონება, ამოუკერეს. მეორიდანაც უცნოურად ხედავს, მთვრალივით. მზერა უორდება, უსამდება... წინ ბევრი თემოა, ოთხზე მეტი, ხუთზეც. მთელი მილი სავსეა ერთმანეთზე გადამზული თემოებით, ათი თემი დინჯალ ასრულებს საპარერო მარშს. ათეულივით მიინვეს წინ, სამხედრო ქვედანაყოფივით



შორენა ფხაკაძე

ცხოვრობ ისე, როგორც ყველა
და სრულიად მოულოდნელად
პოულობ საკუთარ თავში
ძალას,
რომლის არსებობის შესახებაც
არ იცოდი.
ძალა, რომელიც გჭირდება
საიმისოდ, რომ
როცა გტეივა,
არ იტირო,
როცა ილები,
არ შეიმჩნიო,
მარტივად
გაიღიმო და გაერიდო
ტკივილის მომტანს,
დალლის მომტანს.
მარტივად
გააგრძელო ცხოვრება
წარსულში დატოვებული
ტკივილით
და დალლით.

„აშინე, მაშინე,
გულო, რამ შეგაშინა?“
ოთხშაბათმა შეგაშინა?
ჰარასკევმა შეგაშინა?

„აშინე, მაშინე,
გულო, რამ შეგაშინა?“
ადამიანებს ხანდახან სხვაგან ყოფნა ურჩევნიათ,
გაღმა ყოფნა ურჩევნიათ.
მიღმა ყოფნა შეუძლიათ.
შენ ნუ გეშინია.
არ არის შენი ბრალი,
არ არის შენი ვალი
გადაუხდელი მათ წინაშე.

„აშინე, მაშინე,
გულო, რამ შეგაშინა?“
ვიღაც წავა, ვიღაც მოვა,
ვიღაც გაჩნდება, ვიღაც გაქრება...
მთავარია, შენ არ შეგეშინდეს.
მთავარია, შენ შეინარჩუნო სიმშიდე,
რადგან ამ წასვლა-მოსვლის ჟამს
რაღაც უნდა იყოს, როგორც
„დრეზდენის ფაიფურის ქანდაკება თაროზე“,
რაღაც უნდა რჩებოდეს უძრავი.

„აშინე, მაშინე,
გულო, რამ შეგაშინა?“
დამშვიდი, ბოლოს დაბოლოს,
ჩემს იქეთ ხომ ვერსად წახვალ?

ბავშვობაში გარდაცვლილი ნათესავის ისტორია,
„ხუთოსანი გოგოს“ კომპლექსი,
ქერფექციონიზმში გადასული,
რახმანიოვი,
ბიოლი,
კარავაჯო,
AnnenMayKantereit,
გველების, სიმაღლისა და
სამხედრო თვითმფრინავების შიში,
მნარე და ცხარე, იშვიათად გამოერევა ტებილიც.
წესრიგი — თაროზეც და ჩანთაშიც.

ექსპლუატაციის ვადა უცნობია.
არ იყიდება.
არის და მორჩა.

ბატონებო და ქალბატონებო,
მინდა, შეგახსენოთ, რომ
ყველა გოგოს აქვს
გოგოდ დარჩენის უფლება.
ნუ დაგვამძიმებთ
ისეთი სიტყვით, როგორიცაა
„ქალბატონი!“
ჩვენ, გოგობად დარჩენილებს,
გაგკეულ შედავათები უნდა გაგვიწიოთ ამ მხრივ.
უნდა გვაპატიოთ ასაკის შეუფერებელი სამოსი
და სამაულო.
რა ვუყოთ, რომ სამეგობროდაც უმცროსებს ვირჩევთ
და არა მხოლოდ სამეგობროდ.
რა ვუყოთ, რომ არ გვიყვარს ჩვენი დაბადების დღეები?
ყოველი განვლილი წელი ხომ
კიდევ უფრო გვაშორებს გოგობას.

ბატონებო და ქალბატონებო,
გთხოვთ, მოგვიტევოთ,
გვეპატიება ნამდვილად
გოგობა.
არ გვინდა ეს შლეიფიანი „ქალბატონი“,
ადრეა ჯერ,
ძალიან ადრე.

უბრალოდ ხდება დროში აცდენა და
ჩვენც ასე ავცდით ერთმანეთს.
ვერ დავემთხვიერ.
ბუნებამ იზრუნა ამაზე და
ჩვენს შორის ჩააყენა წელი
არა ერთი, არა ორი, არამედ ბევრი,
ხელის თითები რომ არ გვეყოფა დასათვლელად,
თასმა რომ არ გვეყოფა
მძივად ასასხმელად.

ჩვენ ავცდით ერთმნეთს,
კავიკეთებოდით ხანდახან,
რამდენიმე წუთით,
რამდენიმე საათით,
რამდენიმე მიმოწერით,

რამდენიმე შეხვედრით.
მაგრამ არ კმარა.

თითებზე გადასათვლელ წლებს
ვერ ერევა
ეს რამდენიმე წუთი და საათი.

მამაჩალარავდა, როგორ არა,
ცოტა მოიხარა კიდეც
მაგრამ ეს არ იყო ის სიბერე,
რომელიც ელოდა,
როგორიც ელოდა,
რომ მოეთმინა,
რომ მოეცადა
და არ ეჩქარა მეორე ნაპირზე გასვლა.

მეორე ნაპირი უფრო ახლოს აღმოჩნდა,
ვიდრე გვეგონა,
იოლად მიაგნო
და მარტივად გადაწყვიტა წასვლა.

ვზივარ, უჩვეულოდ მუქ კუბოს ვუყურებ
(არც კი ვიცი, რატომ წარმომედგინა ღია ფერის),
სუდარის მიღმა სახენაშლილი მამაჩემა,
ძნელი წარმოსადგენა და კიდევ უფრო
ძნელი დასაჯერებელი.

„ვერ დავატევ ყვავილებს მანქანაზე“ —
ამბობს კატაფალკის მძღოლი
და მე ახალი საზრუნავი მიჩნდება —
სხვა მანქანა უნდა მოიძებნოს.
„კიბეზე ჩაყვანისას სუდარა არ დაცურდეს“ —
ღმერთო,
საიდან შემრჩა ამდენის ფიქრის თავი...

წავიდა მამაჩემი.
„სხვების მამებიც მიდიან.“
„ყველას მამა წავა.“
„მამები უნდა წავიდნენ.“
კიდევ რას მეტყვით, მეგობრებო,
მეზობლებო, წათესავებო,
კოლეგებო?
ყველას მამა წავა
ოლონდ,
მამაჩემმა ვერ მოასწორო დაპერება.

ხუთ თებერვალს მამა დავასაფლავე
და მს შემდეგ დავდივარ
უჩვეული განცდებით.
კი, ავადმყოფობდა,
დიდხანს, მძიმედ
და სწორედ ამ ავადმყოფობის გამო
იყო ხოლმე ბავშვივით.
ხოლმე კი არა, ხშირად,
ბავშვური სიჯაუტე თუ ახირება
ხშირად იყო მისი თანმდევი და მე
მიწევდა ამასთან გამკლავება
დაყვავებით, როგორც ბავშვთან.
ავადმყოფობას, სხვათა შორის,
საემაოდ გავრცელებულს,
არ ჟერნდა სომატური სიმპტომები,
ფრჩხილიც არ წამოსტენია,
მისი ავადმყოფობა იყო
ფიქრები.
ფიქრები წარსულზე, აწმყოზე და
განსაკუთრებით მომავალზე.
მომავალზე, რომელსაც
ყოველთვის მუქ ფერებში ხატავდა
მისი გონება.

„არ არის, მამა, ასე“ — ულონოდ ვეტყოდი,
რადგან ვაცოდი,
ღრმად სანამდა ის, რასაც ამბობდა.
ის, რისიც ეშინოდა
სულაც არ იყო საშიში.

ხუთ თებერვალს მამა დავასაფლავე და
შევიცვალე თურმე.
ვეღარ მხედავენ ძეველებურად ღიმილიანს,
მტკიცებდ და მკიციდებურად ჩემს გარდერობში შავი ფერი,
აღარ ვყვები მიზარულ ისტორიებს.

მამა იყო ბავშვივით ბოლო წლები,
ბავშვური სიჯაუტით წავიდა.

ხუთ თებერვალს მამა დავასაფლავე.
ადრე იყო ძალიან.

წამო, წავიდეთ.
წავიდეთ იქ, სადაც არასდროს ვყოფილვართ
არც მე და არც შენ.



შორენა ფხაკაძე

* * *

არის დღეები, რომლებიც
მარტომ უნდა გადაარო,
როდესაც ვერავინ შეგველება,
ვერავინ გამოგინვდის ხელს.

არიან ადამიანები, რომლებიც
მარტომ უნდა გააცილო.
მერე რა, რომ არც ისე იოლია,
მერე რა, რომ მტკიცნეულია.
არის დღეები, როდესაც
საკუთარი თავის გარდა ვერავის დაეყრდნობი.
არ გაგიკირდეს — ეს მხოლოდ შენს თავს
არ ხდება,
ეს ბუნების კანონზომიერებათაგანია,
რადგან
არის ტკიცილები, რომელთა განაწილებაც
არ ხერხდება.

* * *

ნუ ელი ჩემს გამოჩენას,
რადგან მე
დიდი ხანია, ავუკრძალე საკუთარ თავს
შეწებე ფიქრი...
დიდი ხანია, დავიხშე
შესკენ სავალი გზები,
სამედოდ ამოვგმანე ყველა ჭუჭრუტანა,
საიდნაც აღწევდი
და ახლა
ვხვდები, რომ
უშენობა
თავისუფლების ტოლფასია.

* * *

როდესაც დამის სიჩუმეს
მხოლოდ ჭრიჭინების ხმა არღვევს,
რაზე უნდა ფიქრობდეს
თითქმის შუახნის ქალი?
იმ გზებზე, რომელიც განვლო
თუ იმ ბილიებზე,
რომლებიც ჯერ კიდევ
გასავლელია?
ან იქნებ იმ წიგნზე,
რომლის კითხვაც დაიწყო
თითქმის ერთი თვის წინ
და ვერაფრით მიიყვანა ბოლომდე?
მერე რა, რომ საინტერესოდ იყითხა.
იქნებ თავის მავნე ჩვევაზე,
დილაადრიან ფინჯან ყავას რომ გულისხმობს
და ვერ გადაეჩვია.
ზოგადად ხომ „ჩვეულება
რჯულზე უმტკიცესა“?
იქნებ ნაადრევად ნასულ მამაზე ფიქრობს?
ან ვინმე ენატრება უბრალოდ?

ლამის სიჩუმეში
ზის და ფიქრობს...
ვინ იცის, იქნებ უკვე ათასჯერ ნაფიქრალს.
ვინ იქნება მისი ფიქრის ამომცნობი და მეგზური?

* * *

და ვხედავ, ქარში,
ტოტზე როგორ სკუპია
ჩიტი...
ირხევა
და ღია სივრცეს ებლაუჭება....

21 დეკემბერი

მეტროს ვაგონში ამოვიდა ქალი ვარდებით,
ოლონდ ვარდები, როგორც ბუჩქზე,
სკირინგებად ეყარა მკლავზე.
დიდი ვარდებით მოეხატა ორივე მსუყე,
ჯანსაღი მკლავი...
მე ვიფიქრე,
რომ ამ ქალს ადრე ძალიან სურდა,
ვინმეს მისთვის ვარდები რომ ეჩუქებინა,
და ბოლოს, როგორც იმედები გადაეწურა,
ადგა, თავისთავს ასე უძღვნა
ვარდი-სვირინგი.

იქნებ ხალხური ლექსიც იცოდა:

„ვარდის ბუჩქი ხარ, დიაცო,
ბულბული შეგყეფს ტიასო,
საცა შენ დამარხები,
ნეტა იმ ეკლესიასო!“
მე ვერაფერი გამიგია ჩვენი ძველების.
რად უნდოდათ მკვდარი ქალი
ეკლესიაში?
ან რად ნატრობდნენ მაინცდამაინც ეკლესიობას,
როდესაც კაცს თავისუფლად შეუძლია, იყოს ლოგინიც,
თავშესაფარიც,
შეუძლია, ბოლოსდაბოლოს, სვირინგიც იყოს,
მკლავებიდან
მკერდისკენ
ვარდად ჩაცურებული.
„ბოგა ქალი თავის მოფსმულზე ბალახს არ ტოვებს“ —
ასე ამბობდნენ ჩემს სოფელში
და ალბათ ჰქონდათ თქმის საფუძველიც.
როგორ დატოვებს ბალახს,
როცა
თვითონ ვარდია
ქალის მკლავებიც,
დუნდულებიც,
მკერდიც,
შუცელიც,
მისი ტუტუაც,
რომ გონია,
ვარდის ტატუა...
მაშინ იხატეც ტატუს ქალი,
როცა მარტოა?
მეტროს ვაგონში შევყურებდი ჩემივე სახეს,
რომელიც ძევლი სვირინგით გადამლილიყო
და უკვე მასზე ნამდვილად აღარ იყითხებოდა,
ერთ დროს ზედ რომ მობრდლვიალე ვარდი მეხატა.

ჩუქრება!

თუ მოგენატრეთ, გაზაფხულის ხეებზე მნახავთ,
ნუშის სანთლებად, იელების ყვითელ კვირტებად,
ამ ძვირ წამალსაც გჩუქენით,
ვისაც უნდოდით წამლად,
მას ეს წამალი
თვითონ უკვე აღარ სჭირდება....

რეალური პაიკუ

მეზობელი
შვილს ეძახის
ღია ფანჯრიდან:
— ნოე, ამოდი სახლში ჩქარა!
ნვიმა იწყება.

თვითოზრინავი

ფრთებს თუ შეასხამ,
თვით რკინაც კი
ფრენას დაიწყებს...

გაგობარი
თუკი მოინდომებს,
შენი შვილიც კი ვერ იქნება
შენი მეგობარი.
სადა გვცალია მეგობრობისათვის —
ყოფა გვჭამს,
ყოფა გვინელებს...
ზურაბივით
ყოფის ციხეში ვართ ჩაშენებულები.
შეიღო, ზურაბ, სადამდი?
მთელი ცხოვრება! —

გიორგი ლობჟანიძე

განა მარტო
შეყვარებულები ჩურჩულებენ.
მეგობრებიც ამასვე გვპირდებიან...
სამუდამოობას,
რომელიც წამია,
რადგან
მე, მაგალითად, ვერ ვავიგე
ზოგა რატომ მიმეგობრდებოდა —
რად კანწრავდა ჩემს სულს
ცას მომზყდარი
მალალი ცომილივით...
თითქოს, ურთიერთობას კი არ იწყებდა,
ჩემთან მოსელის და მერე გაქრობის
სანაძლეო ჰქონდა
ნაგებული.
ვისთვის გწერ ამ სიტყვებს...
ახლა სხვა დროა,
სხვა სიტყვებია საჭირო ამ ყველაფრისთვის...
და არა —
მიჯნურობა და მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“...

ეპითაფია

შენ ველარ მხედავ, ერთი წელია,
მიწის სმძიმით ჩამტყდა ლავინი,
მიწის პირი კი ჯერაც სველია
და მინდვრის მწვანე ქურქი ჩავიცვი.
მე ხომ უამრავ ფართქალის მერე
მხრებდამვებული მიველ მიზანთან,
რადგანაც მივხვდი, რომ მიზნად თურმე
ღმერომა საფლავი შემოგვისალტა.
დავნებდი, როგორც ველურ სიყვარულს,
და მც ნანილი ვხდები ბუნებს,
მათოვარივით გადმომიყარა
ცამ ვარსკვლავების უზალოუნები
მე, ვისაც ცოცხალს — არასდროს ხურდა
არ ამილია ჩემი მარჯვენით,
არც მოწყალება, არც სიყვარული
არ მისურვია სხვის მონარჩენი.
და ვიყავ კაცი, ყველა ზარი რომ
ამქვეყნად თურმე ფუჭად არისხა,
შენდობა მითხარ მიწის უბეში
სამარადისოდ ჩამდგარ ქარიშხალს.

უფლება

ჩვენ, ქვემორე
ფაფით დაშინებულებს,
მოგვეცით უფლება,
დოს შევუბეროთ

ერთადერთი თხოვნა

დამბადებელო, სიტყვის კარს ნუ ამომიქოლავ,
სამყაროს ღაწეზე გადმომაგდე ობოლ სტრიქონად...



— ፩፻፭፻፭ —



ნათია გოჯორაშვილი

 ზამთარში დაიბადები,
 გაზაფხული ნელა გაგითბობს მინავლებულ ძვლებს,
 ზაფხული დაგლოის,
 შემოდგომა სიპრინის კბილს ამოგგლევს,
 ზამთარი გაგხრნის.
 აიღე საჩუქარი, ნაძვის ხის ქვეშ დევს.
 აიღე და გჯეროდეს თეთრწევრიანი კაცის,
 შეხედე, თოჯინა დაგიტოვა!
 მოუარე.
 ფეხის გულებზე მოუღიტონე.
 გააცინე.
 ყალბი, პლასტმასის ხელისგულები მოუჭეჭყე.
 უემოციოდ გაშეშებულ თვალებში ჩახედე და დაიჯერე!
 დაიჯერე არარსებული რეალობა,
 გამოგონილის ხელოვნება ათამაშე ცნობიერში.
 ის
 აქ
 არის.
 ის
 შენშია.
 ემეგობრე სიზმრებს.
 გამათენებინეთ.
 მთვარეს მოუყვეთ ტკივილებზე.
 შიში შეისრუტე.
 გადახლართე გონების ლაბირინთებში.
 გააღვიძე არარა.
 მე
 მე ვერ დაგეხმარები, შენ თავს შენ თვითონ უშველე.
 და
 გამათენებინეთ.
 დამატოვებინეთ საღეჭი რეზინი,
 სათამაშის ქუდში უნდა ჩაეტოვო.
 ის უნდა იპოვონ.
 ის უნდა დაღეჭონ.
 დაღეჭონ და არ გადმოაფურთხონ.
 დაღეჭე და მოკალი მოგონებები.
 დაღეჭე იქამდე, სანამ
 საფეხულები არ აგუგუნდებიან დალლილობით.
 ოცდამეორე დღეს ესთეტიკურად გადაარწყიო
 შენს წარსულს.
 თოვი და საფანტის ტყვიერი აიღე.
 სათითაოდ ესროლე მოგონებებს და
 ერთ ამოსუნთქვაში ამოხოცე.

ეცადე, იფიქრო და
 არ ააცახცახო სხეული გვემისგან.
 ღრმად ამოისუნთქე,
 თვალები დახუჭე და...
 ამოღრუტნულ მოგონებებში გადაეშვი.
 შეუერთდი სიჩუმეს.
 უზენაესი ფრთხის შესხმით
 გადაატრიალე თვალები
 და ამოისუნთქე.
 სად არის ის?
 სიზმრებში,
 თუმცა, იქაც აგვიანდება.

 როცა ლამე შიშველ ზარებს შემოჰკრავს,
 დღის წნევისგან დალლილ
 ქუთუთოების გარეშე მიგეძინება.
 სიცივე აგიტანს და
 პათეტიკური ყოფა დაგიმძიმებს სულს.
 იფიქრებ, რომ შენთან კვლავ არავინ მოვა.
 ამასობაში წამით ვიღაც გამვლელი შეგამჩნევს,
 მოგესალმება და
 თავის უმისამართო გზას მშვიდად გააგრძელებს.
 შენ იჯდები და იფიქრებ, რად გილირს ცხოვრება,
 ის დაუსრულებელი სპექტაკლი,
 რომელშიც მეორეხარისხოვანი როლი მოგანიჭებს.
 ორი არც ისე ცუდი ციფრია, გაგიელვებს თავში,
 თუმცა,
 თუმცა,
 რატომ არა ერთი, ან სამი, ან
 თუნდაც ოთხას სამოცდაჩვიდმეტი?
 ვიღაცები გაიცინებენ და ხარხარს ატანილნი
 გაუყვებიან ბილიკებს.
 შენ კი შეეცებები, გაიხსნონ წარსული მდგომარეობა,
 რომელთანაც მხოლოდ თმა გაკავირებს, ისიც,
 შერჩილი და შეღლაბლა.
 მეტად ირონიული ცრემლდენა
 პათეტიკას მოგგვრის და
 ამოხვნეშისას გაგახსნდება ყველა,
 ვინც ნებით თუ უნდღიერ დაგტოვა.
 ფიქრს შეგანვეტინებს ქუჩის ბომზი,
 რომლის სიტყვების ამოცნობას
 დაძაბული შეეცდები.

გეითხავს: ლამაზი ხარ?
 შენ კი არ გეცოდინება, რა არის სილამაზე და
 როგორ უნდა შეაფასო შენი თავი,
 როცა გარშემო ამდენი სიმყრალეა.
 თან არც იცი, დგახარ თუ მიდისარ,
 ცოცხლობ თუ არსებობ.
 იქ, სადაც ირეალობა და სევდა ერთმანეთს კვეთენ,
 საკუთარ მეს დაელოდები.
 და, სადაც დუმილია.
 იქ, სადაც დუმილია.

სავარაუდო ჩამოხატი

დღო დავყავი და სასვენ ნიშანზე ჩამომეძინა.
 წამები გადორდა და ღრმა ძილს
 სასთუმალი გულშემატკივრობდა.
 დასვენებულს, გადაღლილს,
 გადაღლილობის შემდეგ დამშვიდებულს,
 სასვენ ნიშანზე ჩამომეძინა.
 დავისვენე, მოვისვენე,
 მე და ჩემმა კატამ გამოვიძინეთ.
 გამოვფხილდით ღრმა ძილიდან და გამოვიძინეთ.
 სასვენ ნიშანი ალარ ჩქარობდა,
 გვაყოვნებდა, გვასვენებდა,
 არსის გაგებას ლამობდა.
 დაისვენებ და
 მოისვენებ და
 დამშვიდები.
 იმეტყველებ, ისაუბრებ და დალაგდები.
 მძიმე შეუბუქი სასვენი ნიშანია, არ დაგამძიმებს.
 დაისვენებ და შემსუბუქდები.
 გაიღვიძებ, დაიძინებ,
 წერტილები ალარ შეგანუხებენ,
 რადგან მძიმე გააგრძელებს ცხოვრებას,
 რაღაცებს გაგიმარტივებს.
 ძახილის ნიშანს არ ენდო,
 კითხვის ნიშანს ზოგჯერ გაექეცი.
 თავი ჩამოადე მძიმეს.
 სასვენ ნიშანზე ჩამომეძინა.
 ასე კარგია.

 დამის კოშმარებთან საბრძოლველად
 მარტო დავრჩი,
 ჩემში ალარ ანათებდა ძლიერი ნაპერწალი.
 მინავლებული, გაქარწყლებული,
 მკრთალად ბუუტავდა და სულს ღაფავდა.
 ვერცხლისფერი სიცივე ძვლებში ატანდა და
 უიმედობის გზაზე მხდალს,
 სუსტს,
 ბერავს მიშვებდა.
 გაზაფხულის იმედი ჩაიფერფლა,
 მაისიც ალარ მოვა.
 მხოლოდ შემოდგომა იდგება მედგრად,
 სულში შემოდგამს იაფ ყვავილებს,
 დამჭერარ ყვავილებს,
 წარმავალ ყვავილებს.
 ჩაბერტონებულ გრძნობებს შეალამაზებს,
 ისტორიისფერ სანანულსაც მოყოლებს.
 მე კი ვიდგები სიჩუმეში,
 ვილოცებ კისერმოგრეხილი
 და
 ღმერთს შევთხოვ იმას, რაც არასდროს მქონია.
 ის სიცილს დამაყრის თავზე,
 დამტვებს საკუთარ შეცდომებთან მარტოს,
 მეტყვის, რომ ბრძოლას არ ჰქონდა აზრი,
 რომ სული ყოველთვის შემეხუთება.
 მე კანკალს ატანილი მუხლებს გადავიტყავებ და
 გაღვიძებულ არარასთან შესახედრად მოვამზადები.
 სულის დარჩენილ ნამსხვრევებს ამოვახველებ და
 ჰერს ძრნოლვით შევუერთდები.
 შევეცდები მიზეზთა პოვნას,
 დაგვამა უსასრულო შეეითხვებს,
 რათა,
 რთა სული შევწებო,
 ცხოვრება შევაკენინო.
 პასუხები არ მექნება,
 მე კი ყოველ წამს მონოტონურად გავიმირებ
 ჩემს მტანჯველ შეკითხვას:
 და მაინც, რატომ ჭენება მანდარინები?

 ალილუა, ვთქვი და ამოვისუნთქე.
 ალილუა, ვთქვი და ავტორდი.
 გაევავებული ტკივილი სულში შემომეკედლა,
 რიანი ხელები ჩემზე შეინმინდა და შემომახმო.
 მე ვერ შევძელი ჰაერში ლივლავი,
 ჩემი თავი მსუბუქ ქროლვას მივანდე.
 წითელი სიცილი მეტმასნებოდა,
 მე კი მის თავიდან მოშორებას ვლამობდი.
 მოსმენა ალარაფრად მილირდა,
 დაჯერება არსი დაკარგა,
 სიყალებ დამცინავად გაიმარჯვა.
 აღსდექი! — მითხვა არარამ,
 ხელ-პირს დავიბან — მივუგე მე.
 კალამს ავიღებ — ვწურჩულებ მე.

წამი ჩერდება,
 ფიქრი წყდება,
 სუნთქვა სუსტდება,
 გამოჭმული გრძნობები გხრავს.
 თავს დაგკორტნიან ცისფერი სვავები,
 ვარდისფერი ბუშტები სკლომისას გალავ.
 და თუ გასკდება,
 კიდევ ერთი თუ გასკდება,
 კიდევ ერთი...

ვინ წაიღებს ცაში სიშორის კვალს?



ვისლავა შიმბორსკა

ერთი ნახვით შეყვარება

ორივე დარწმუნებულია: სიყვარული მოულოდნელად ეწვიათ. კარგია, როცა მსგავსი რამ ზუსტად იცი, თუმცა, თუკი ეჭვს შეტან, უმჯობესია. ორივეს სჯერა: ერთმანეთს ადრე არ იცნობდნენ, შესაბამისად, მათ შორის ვერაფერი იქნებოდა, მაგრამ რას ფიქრობენ ის ქუჩები, კიბეები და კორიდორები, სადაც ორივეს უამრავჯერ აულია და ჩაუვლია? ისე, მინდოდა, მეეთხა: შემთხვევით მბრუნავ კარებში ერთმანეთის პირისპირ ხომ არ მდგარხართ? ოდესმე ერთმანეთისთვის ბოძიში ხომ არ მოგიხდათ? ან იქნებ სულაც ერთმანეთის ტელეფონებზე შემთხვევით დაგერეკათ, მერე კი მიმხდარხართ, რომ სხვაგან მოხვდით? თუმცა არ ვკოთხავ, რადგან პასუხი წინასწარ ვიცი: — არა, არ გვახსოვს.

ალბათ, ძალიან შეცემულდებოდნენ, თუ გაიგებდნენ: დიდი ხანია, შემთხვევითობა მათით ერთობა. თავდაპირველად მზად არ იყო, ერთი მეორის ბედისნერად ექცია, მაგრამ ხანდახან ერთმანეთთან ახლოებდა, მერე კი ისევ აშორებდა. გზაზე ცხვირინინ გადაურბნდა, მერე კი დიდხანს ხითხითებდა, როცა ბოლო წამს ორივეს გვერდზე გაუსხლტებოდა. იყო მინიჭებებიც — მართალია, ბუნდოვანი, მაგრამ ხომ იყო, არა?.. იქნებ, სამი წლის წინ, ან სულაც გასულ საშმაბათს ერთის მხარზეც ზუსტად იმავე ფოთოლმა გადაიშრიალა, რომელმაც მეორისაზე? იქნებ, ერთის გადაგდებული მეორებ აიღო?

იქნებ, ეს ბურთი იყო — ბაგშვილიდან გადმოსროლილი და ბუჩქებში გადავარდნილი? იქნებ, იყო კარზე ზარებდა და რკინის ძველი სახელურები, რომელგზეც მათი შეხები ერთმანეთს ეწებებოდა? იქნებ, სადგურში ჩემობნები ერთმანეთის გვერდიგვერდ ედგათ? იქნებ, წლების წინ ორიგიერი ერთი სიზმარი ნახა, მაგრამ როდესაც გამოეღიათ, ველარაფერი აღიდგინეს?.. ყველა დასაწყისი ხომ მხოლოდ გაგრძელებაა, მოვლენების წიგნიც ყოველთვის მხოლოდ ნახევრადაა გადაშლილი.

სიზმარით ტრაპაცი

სიზმებში, რომლებსაც ყოველ დამე ვხედავ, დელფტელი იან ვერმეერივით ვხატავ, თავისუფლად ვლაპარაკობ ბერძნულად და არა მარტო ცოცხლებთან, ვატარებ მანქანას, რომელიც მარტივად მემორილება, გენიალურ პოემებს ვწერ, სამყაროს ხმები ზუსტად ისევე გარკვევით ჩამესმის, როგორც წმინდანებს. ერთი შეგახედათ, რა დიდებულად ვუკრავ როიალზე, აფრენაც ზუსტად ისე გამომდის, როგორც საჭიროა — საკუთარი თავიდან აფრენას ვგულისხმობა. სახურავიდან გადმოვარდნილი რბილად ვეცემი მწვანე ბალაზე, წყლის ქვეშაც ისევე თავისუფლად ესუნთქავ, როგორც წყლის ზედაპირზე. ჩემს სიზმებში ბედს არასდროს ვუჩივი, რადგან შეველი და ატლანტიდა აღმოვაჩინე. ისიც მახარებს, სკვდილის წინ რომ ყოველთვის გასწრებ გამოღიბდას. დიდი აფეთქების წინ ყოველთვის გასწრებ ერთიდან მეორე გვერდზე გადაბრუნებას. მეც ამ ეპოქის შველი ვარ, თუმცა, სულაც არ მაქვს ვალდებულება, ვიყო. რამდენიმე წლის წინ ცაზე ერთდროულად ორი მზე დავინახე, გუშინინ — პინგვინი, თან ცხადში, სიზმარში კი არა.

ჩემი დის პატივსაცემად

ჩემი და ლექსებს არ წერს. არც არასდროს დაწერს.

ამაში დედაჩემს დაემსგავსა — ლექსები მასაც არასოდეს დაუწერია და მამაჩემაც — არც მას დაუწერია ლექსები.

ჩემი დის სახლში თავს კარგად ვერძნობ:

მისი ქმარი უმალ მოკვდება, ვიდრე ლექსეს დაწერს.

მართალია, რამდენჯერმე განვეორდი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი:

ჩემს არც ერთ ახლობელს ლექსი არასდროს დაუწერია.

შესაბამისად, ჩემი დის საწერი მაგიდის უჯრაში ძველ ლექსებს არ სძინავთ, ვერც მას ჩანთაში იპოვით ახლებს.

როცა ჩემი და სადილზე მეპატიურება,

ზუსტად ვიკი, თვალის ლექსებს არ წამიეთხავს.

მისი წვინანი ლექსის გარეშეც გემრიელია,

არც მისი ყავა გადასხმია არასოდეს ძველ ხელნაწერებს.

ჩვენ გარშემო ბევრო ისეთი იჯახია,

რომლის წევრებაც ლექსი არასდროს დაუწერიათ,

თუმცა, როგორც ამბობენ, იჯახი ერთი შეშლილის გარეშე არ არსებობს...

პოეზია, ცხადია, თუკი შეგეყარა, თაობებს თავზე გადაევლება,

წყლის მორევად გადაიქცევა

და ნებისმიერი იჯახის ბედნიერებას ჩაძირავს.

მართალია, ჩემი და სასიამოვნო მოსაუბრეა,

მაგრამ მისი წერილობითი მემკვიდრეობა მხოლოდ ღია ბარათებით შემოიფარგლება,

შევბულების დროს რომ მიგზავნის და ყოველ წელს ერთსა და იმავეს მპირდება —

რომ უკან დაბრუნებულს ბევრო რამ ექნება ჩემთვის სათქმელი.

პიტლერის პირველი ფოტო

ვინ უნდა იყოს თეთრ ბოდეში გამოწყობილი ეს ციცქანა ბიჭი?..

ეს ხომ პატარა ადოლფიკორა — პიტლერების ძვირფასი პირმშო!

იქნებ, მისგან იურისპერუდენციის დოქტორი დადგეს,

ან, იქნებ, ვენის იპერაში შეასრულოს ტენორის ყველა სოლო პარტია?..

ვის ეკუთვნის ეს პატარა ხელები, კისერი, თვალები, ყურები, ცხვირი,

ან ვისია ეს მუცელი? — ჯერ უცნობია...

იქნებ, მბეჭდავის, ან კომერსანტის, ან, იქნებ, სულაც ღვთისმსახურის?..

საით წავლენ ეს პანუა, ბურჯუნა და მოკლე ფეხები —

ბალში, სკოლაში, სამსახურში თუ ჯვრისწერაზე?

იქნებ, ქალაქის თავის გოგომდეც კი ჩაღნიონ?

ისეთი ტანილია, ანგელოზი გეგონება — ქათქათა, სუფთა;

ერთი წლის წინ — როცა სამყაროს მოევლინა,

როგორც ზეცანი, ისე ხელეთზე გარკვეული ნიშნები გაჩინდა:

გაზაფულის მზე ანათებდა,

ფანჯრებთან გერანიუმები ყვაოდა,

ეზოში ორლანის მუსიკა ჟღერდა,

ბედნიერი პლანეტა ვარდისფერ ქურქში გახვეულიყო...

მშობიარობის დაწყების წინ დედა წინასწარმეტყველური სიზმარი ნახა:

მტრედები თუ დაგესიზმრება,

იცოდე, რომ სასიამოვნო სიახლეს ნიშნავს,

მათი შეპრობა კი სასურველი სტუმრის მოსვლას მოასწავებსო.

— კაუუ-კაუ, აქ ვინ არის? — აკაუნებს პანაწუნა ადოლფიკო.

საფენებით, დორბლით, საწოვარათი და ჟღარუნით შეიარაღებულა.

მადლობა ღმერთის, პატარა რომ ჯანმრთელი გაჩინდა...

დედკუსაც ჰგავს და მამიკოსაც,

ჩანთაში ჩამსულ, გადასაგდებად გამზადებულ უმწეო კნუტსაც,

საოჯახო ალბომებში გამობლები სხვა პატარებსაც...

აღარ გიტიკორებთ, ბატონი ფილოგრაფი,

შავი ტილო ჩამოაფარეთ ფოტოაპარატს, რომ დაიძახოს მარტივი „ჩხაკ“!..

კრინგერის ატელიე, გრაბენშტრასე, ბრაუნაუ —

ბრაუნაუ კი პატარა, მაგრამ ძალიან ლირსეული ქალაქია:

პატივცემული მეზობლებით, სოლიდური ფილმებით,

საფუარანი ცომით და უბრალო საპნით სახელგანთქმული;


იქ არც ძალების ყმული ისმის,

არც — ბედისწერის ნაბიჯების ხმა,

იქ ისტორიის მასწავლებლი ჯერ ქათქათა საყელოს ისწორებს,

შემდეგ კი სული მთქნარებით ძვრება.

თარგმანი სოფიო ნულაიაზ



ლიტერატურული გაზეთი

საქართველო